ოქმი:**ო63. 63230902**
თარიღი:**31/03/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

სხდომის

**ო ქ მ ი N2**

სამტრედია 29 მარტი. 2023 წელი**.**

მიმდინარე წლის 29 მარტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა.

**სხდომას ესწრებოდა:** ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ავთანდილ თადუმაძე, გივი ჯულაყიძე, გიორგი გაგუა, ვალერიანე ფოცხვერია, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი, მანანა სირბილაძე, პაატა კოხრეიძე, ქეთევან კუტალაძე, ჯონი ახობაძე.

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ** :

1. ეწერი-მელაურის თემის მაჟორიტარი - მერაბ უღრელიძე.
2. დიდი ჯიხაიშის მაჟორიტარი - გიორგი ლეჟავა.
3. ღანირი - კულაშის თემის მაჟორიტარი - გოჩა არველაძე.
4. ოფეთი-გომის თემის მაჟორიტარი - ჯონი თევზაძე.
5. საჯავახო-გორმაღალი-ნიგორზღვის მაჟორიტარი გიორგი გაგუა.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1.სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /**

**2.** საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭოგნარში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /**

**3**. საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ტარიელ ცომაიას მოხსენებითი ბარათის განხილვა.

**/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /**

**4.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბაშში მდებარე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (უძრავი ქონების) დაყოფა და დაყოფის შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

**/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /**

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 19 პროექტის მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /**

**6.** სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (12) ხმით, კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი (12) ხმით იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

**<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u>** სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

**ტარიელ ცომაია** - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმები“-ს პირველი მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 მაისამდე სრულად გაუნაწილებლობის შემთხვევაში, დარჩენილი თანხა განაწილდება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

წარმოგიდგენთ 2023 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებს.

**დანართი №1**

| № | სოფელი | პროექტის დასახელება | საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი) | თანადაფინანსება (ლარი) | პროექტის ღირებულება (ლარი) | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაში | გარე განათების მოწყობა | 20 000 | 0 | 19 500 | 500 |
| 2 | იანეთი | საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა | 15 000 | 0 | 15 000 | 0 |
| 3 | იანეთი | გარე განათების მოსაწყობად მასალების შეძენა | 5 000 | 0 | 5 000 | 0 |
| 4 | დიდი ჯიხაიში | გარე განათების მოწყობა | 20 000 | 0 | 19 500 | 500 |
| 5 | პატარა ეწერი | სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და სკვერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა | 12 000 | 0 | 11 700 | 300 |
| 6 | ახალსოფელი | ბორახთან მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა | 16 000 | 0 | 15 600 | 400 |
| 7 | გვიმრალა | ამბულატორიის შენობის და ღობის რეაბილიტაცია | 1 500 | 0 | 1 463 | 37 |
| 8 | გვიმრალა | საბავშვო ბაღის შენობისთვის კარ-ფანჯრების შეძენა-მონტაჟი | 5 500 | 0 | 5 500 | 0 |
| 9 | გვიმრალა | სკვერში საბავშვო ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი | 5 000 | 0 | 5 000 | 0 |
| 10 | კეჭინარი | სანიაღვრე არხების მოწყობა | 12 000 | 0 | 11 700 | 300 |
| 11 | ოჭოფა | არსებული სკვერის რეაბილიტაცია | 10 000 | 17 000 | 26 325 | 675 |
| 12 | ჯიქთუბანი | გზისპირა მოსაცდელის მოწყობა | 7 000 | 0 | 6 825 | 175 |
| 13 | ჯიქთუბანი | სკვერის მოწყობა | 5 000 | 0 | 4 875 | 125 |
| 14 | მელაური | ბეტოხის სახიაღვრე არხის მოწყობა | 4 500 | 0 | 4 388 | 112 |
| 15 | მელაური | ამბულატორიისთვის წყლის სისტემის მოწყობა და ოთახის რემონტი | 7 500 | 0 | 7 313 | 187 |
| 16 | მიწაბოგირა | სკვერის მოწყობა | 16 000 | 10 000 | 25 350 | 650 |
| 17 | ხიბლარი | სკვერში სპორტული ტრენაჟორების და საბავშვო ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი | 16 000 | 10 000 | 26 000 | 0 |
| 18 | ნაბაკევი | სანიაღვრე არხების მოწყობა | 6 500 | 0 | 6 338 | 162 |
| 19 | ნაბაკევი | ხიდ-ბოგირების მოწყობა | 4 500 | 0 | 4 388 | 112 |
| 20 | ნაბაკევი | სკვერის კეთილმოწყობა | 5 000 | 0 | 4 875 | 125 |
| 21 | კვირიკე | სკვერის კეთილმოწყობა | 12 000 | 0 | 11 700 | 300 |
| 22 | ნინუაკუთხე | ე.წ. ნაბუტკოს სკვერის კეთილმოწყობა | 12 700 | 0 | 12 383 | 317 |
| 23 | ნინუაკუთხე | სანიაღვრე არხის ამოწმენდა | 300 | 0 | 293 | 7 |
| 24 | ნინუაკუთხე | გარე განათების მოწყობა | 1 500 | 0 | 1 463 | 37 |
| 25 | ნინუაკუთხე | მილ-ბოგირის მოწყობა | 1 500 | 0 | 1 463 | 37 |
| 26 | ჩხენიში | გარე განათების მოწყობა | 9 500 | 0 | 9 263 | 237 |
| 27 | ჩხენიში | გზისპირა მოსაცდელის აშენება | 6 500 | 0 | 6 338 | 162 |
| 28 | ხუნჯულაური | სპორტულ მოედანზე განათების მოწყობა | 5 000 | 0 | 4 875 | 125 |
| 29 | ხუნჯულაური | სანიაღვრე არხების მოწყობა | 1 000 | 0 | 975 | 25 |
| 30 | ხუნჯულაური | ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია | 6 000 | 0 | 5 850 | 150 |
| 31 | დაბა კულაში | სკვერის მოწყობა | 20 000 | 20 000 | 39 000 | 1 000 |
| 32 | ღანირი | სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია | 20 000 | 0 | 19 500 | 500 |
| 33 | ჭაგანი | სკვერის რეაბილიტაცია | 16 000 | 10 000 | 25 350 | 650 |
| 34 | დაბლაგომი | გარე განათების მოწყობა | 16 000 | 0 | 15 600 | 400 |
| 35 | გომმუხაყრუა | გზის მოხრეშვა ხადირაძეების უბანში | 6 500 | 0 | 6 338 | 162 |
| 36 | გომმუხაყრუა | სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 3 000 | 0 | 2 925 | 75 |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 37 | გომმუხაყრუა | გარე განათების მოწყობა | 2 500 | 0 | 2 438 | 62 |
| 38 | გომნატეხები | გარე განათების მოწყობა | 7 000 | 0 | 6 825 | 175 |
| 39 | გომნატეხები | სკვერის რეაბილიტაციისთვის მასალების და ინვენტარის შეძენა | 4 000 | 0 | 4 000 | 0 |
| 40 | გომნატეხები | სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 1 000 | 0 | 975 | 25 |
| 41 | დაბლა ეწერი | წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა | 5 000 | 0 | 5 000 | 0 |
| 42 | დაბლა ეწერი | სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 5 000 | 0 | 4 875 | 125 |
| 43 | დაფნარი | გარე განათების მოწყობა | 9 550 | 0 | 9 312 | 238 |
| 44 | დაფნარი | სანიაღვრე არხის მოწყობა | 5 200 | 0 | 5 070 | 130 |
| 45 | დაფნარი | წყლის და სახიაღვრე სისტემებისთვის მასალების შეძენა | 1 250 | 0 | 1 250 | 0 |
| 46 | დობირო | გზაზე ბეტონის საფარის დაგება | 10 000 | 0 | 9 750 | 250 |
| 47 | ზედა ეწერი | გზის მოხრეშვა | 8 500 | 0 | 8 288 | 212 |
| 48 | ზედა ეწერი | გარე განათების მოწყობა | 2 500 | 0 | 2 438 | 62 |
| 49 | ზედა ეწერი | სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 1 000 | 0 | 975 | 25 |
| 50 | კეთილაური | სასაფლაოს შემოსაღობად მასალების შეძენა | 1 300 | 0 | 1 300 | 0 |
| 51 | კეთილაური | წყლის სისტემისთვის მასალების (წყლის ტუმბო, ლითონის ავზი, პოლიეთილენის მილი) შეძენა | 8 700 | 0 | 8 700 | 0 |
| 52 | კორმაღალი | ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია | 4 000 | 0 | 3 900 | 100 |
| 53 | კორმაღალი | გარე განათების მოწყობა | 8 000 | 0 | 7 800 | 200 |
| 54 | მთისძირი | გარე განათების მოწყობა | 6 000 | 0 | 5 850 | 150 |
| 55 | მთისძირი | სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 10 000 | 0 | 9 750 | 250 |
| 56 | ცივწყალა | გზების რეაბილიტაცია | 9 400 | 0 | 9 165 | 235 |
| 57 | ცივწყალა | წყლის სისტემისთვის პოლიეთილენის ფ25 მმ-იანი 400 გრძ/მეტრი მილის შეძენა | 600 | 0 | 600 | 0 |
| 58 | საჯავახო | ღია სავარჯიშო მოწყობილობების მოხტაჟი | 16 000 | 6 000 | 22 000 | 0 |
| 59 | ნიგორზღვა I | კიკვაძეების უბანში სკვერის მოწყობა | 12 000 | 8 000 | 19 500 | 500 |
| 60 | ნიგორზღვა II | სასაფლაოს ტერიტორიის კეთილმოწყობა | 10 000 | 0 | 9 750 | 250 |
| 61 | ჭოგნარი | გარე განათების მოწყობა | 12 000 | 0 | 11 700 | 300 |
| 62 | ტოლები | სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგება | 10 000 | 0 | 9 750 | 250 |
| 63 | ბუღნარა | ქვაკირის სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე ბეტონის საფარის დაგება | 12 000 | 0 | 11 700 | 300 |
| 64 | ვაზისუბანი | ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 16 000 | 0 | 15 600 | 400 |
| 65 | ზემო ნოღა | გარე განათების მოწყობა | 12 000 | 12 000 | 23 400 | 600 |
| 66 | ზემო ტოლები | სასაფლაოების შემოსაღობად მასალების შეძენა | 10 000 | 0 | 10 000 | 0 |
| 67 | ქვემო ნოღა | გარე განათების მოწყობა | 12 000 | 0 | 11 700 | 300 |
| 68 | ქორეის უბანი | ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 10 000 | 0 | 9 750 | 250 |
| 69 | დიდი ოფეთი | შიდა სასოფლო გზების | 10 000 | 10 000 | 19 500 | 500 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | რეაბილიტაცია | | | | |
| 70 | თხილაგანი | გზის რეაბილიტაცია | 2 000 | 0 | 1 950 | 50 |
| 71 | თხილაგანი | ნაპირსამაგრის მოწყობა | 8 000 | 0 | 7 800 | 200 |
| 72 | მტერჩვეული | გზის გაფართოება | 7 000 | 5 000 | 11 700 | 300 |
| 73 | მტერჩვეული | სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და სანიაღვრე არხის მოწყობა | 3 000 | 0 | 2 925 | 75 |
| 74 | ნაწილოფეთი | გზების მოხრეშვა | 6 000 | 0 | 5 850 | 150 |
| 75 | ნაწილოფეთი | სანიაღვრე არხების მოწყობა | 4 000 | 0 | 3 900 | 100 |
| 76 | პატარა ოფეთი | ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა | 8 000 | 0 | 7 800 | 200 |
| 77 | პატარა ოფეთი | გარე განათების მოწყობა | 2 000 | 0 | 1 950 | 50 |
| 78 | წიაღუბანი | შიდა გზების მოხრეშვა | 10 000 | 5 000 | 14 625 | 375 |
| 79 | გორმაღალი | გზების მოხრეშვა | 16 000 | 0 | 15 600 | 400 |
| 80 | გამოჩინებული | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | 10 000 | 0 | 9 750 | 250 |
| | | | 660 000 | 113 000 | 756417 | 16583 |

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

**დაადგინეს:** კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (12) ხმით, ეთანხმება საკითხის გატანას ბიუროს სხდომაზე.

**<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u>** სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭოგნარში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის მოწონების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭოგნარში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

**დანართი 1**

| № | პროექტის დასახელება | პროექტის ღირებულება (ლარი) | | | პროექტის შესასრულებელი ვადები | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მ.შ. თანადაფინანსება | (რეგიონული ფონდიდან მოთხოვნილი თანხა) | დაწყება | დასრულება | |
| | 1 | 2 | 3 | | 5 | 6 | 7 |
| 1 | საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭოგნარში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ორი ეტაპი) | 241000 | 13000 | 228000 | აპრილი | სექტემბერი | I - ეტაპის ღირებულება 120,0 ათასი ლარი<br><br>II - ეტაპის ღირებულება 121,0 ათასი ლარი |

**დაადგინეს:** კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (12) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

**<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u>** სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 6 მარტს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ,, ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) მეორე სართულზე არსებული 20.92 კვ.მ (10.50 კვ.მ და 10.42 კვ.მ) ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი''-სთვის, (საიდენტიფიკაციო ნომერი-438726452) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 მარტის N გ-63. 63230658 განკარგულება.

ზემოაღნიშნულ განკარგულებაში დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, სათაურში, პრეამბულაში და მე-2 პუნქტში ,,მეორე სართული“-ს ნაცვლად უნდა ჩაიწეროს ,,მესამე სართული“ და შეიცვალოს გადაწყვეტილებითი ნაწილის მეორე პუნქტი, სადაც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა“-ს ნაცვლად ჩაიწეროს, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი''.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

**დაადგინეს:** კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (12) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

**<u>დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით</u>** სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბაშში მდებარე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (უძრავი ქონების) დაყოფა და დაყოფის შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

**ტარიელ ცომაია** - კერძოდ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 09.03.2023წ. № 2-08/3244 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბაშში მდებარე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 34.09.46.316) დაყოფისა და დაყოფის შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთების (718.00 კვ.მ. და 40.00 კვ.მ.) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

აღნიშნული საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს სამტრედიის მერიის შესაბამის სამსახურს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

**დაადგინეს:** კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (12) ხმით, ეთანხმება, რომ აღნიშნული საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს სამტრედიის მერიის შესაბამის სამსახურს.

**<u>დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით</u>** სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 19 პროექტის მოწონების

შესახებ.

**ტარიელ ცომაია** - წარმოგიდგენთ, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 19 პროექტს.

| № | პროექტის დასახელება | პროექტის ღირებულება (ლარი) | | პროექტის შესასრულებელი ვადები | | შენიშვნა (რეგიონული ფონდიდან მოთხოვნილი თანხა) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მ.შ თანადაფინანსება | დაწყება | დასრულება | |
| | 1 | 2 | 3 | 5 | 6 | 7 |
| 1 | ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ბეტონის გზიდან ე.წ. ,,აბანოთუბნამდე“ ბეტონის გზის მოწყობა | 1 152 000 | 57600 | მაისი | ოქტომბერი | 1 094 400 |
| 2 | ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. ,,აბანოთუბნიდან“ ოფეთის ეკლესიამდე ბეტონის საფარის მოწყობა | 1 224 000 | 61200 | მაისი | ოქტომბერი | 1 162 000 |
| 3 | ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ოფეთის ეკლესიიდან მტერჩვეულის ბოლომდე ბეტონის საფარის მოწყობა | 1 224 000 | 61200 | მაისი | ოქტომბერი | 1 162 000 |
| 4 | ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მტერჩვეულის ბოლოდან წიაღუბნის ეკლესიამდე ბეტონის საფარის მოწყობა | 1 080 000 | 54000 | მაისი | ოქტომბერი | 1 026 000 |
| 5 | სოფ. დაფხარში ე.წ. ,,იმედი“-ს უბანში ბეტონის საფარის მოწყობა | 72000 | 3600 | მაისი | ოქტომბერი | 68400 |
| 6 | გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. გომნატეხებში N7 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა | 160000 | 8000 | მაისი | ოქტომბერი | 152000 |
| 7 | გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. დაბლა გომში N6 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა | 208000 | 10400 | მაისი | ოქტომბერი | 197000 |
| 8 | გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მთისძირის N3 ქუჩის ასფალტ ბეტონის საფარით მოწყობა | 56000 | 2800 | მაისი | ოქტომბერი | 53200 |
| 9 | გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ზედა ეწერის N5 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა | 180000 | 9000 | მაისი | ოქტომბერი | 171000 |
| 10 | ქ. სამტრედიაში, დ. აღმაშენებლის მე-2 შესახვევში ასფალტ ბეტონის საფარის | 72000 | 3600 | მაისი | ოქტომბერი | 68400 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოწყობა | | | | | |
| 11 | ქ. სამტრედიაში, სააკაძისა და ბაგრატიონის ქუჩებზე, დ/აღმაშენებლის ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს (ჭავჭავაძის ქუჩიდან) მისასვლელ გზაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა | 62950 | 3150 | მაისი | ოქტომბერი | 59800 |
| 12 | ქ. სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე სამრეწველო ზონში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა | 400000 | 200000 | მაისი | ოქტომბერი | 380000 |
| 13 | ქ. სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის გადასახვევიდან, ამირან ბახტაძის ქუჩაზე ,,სოკარი“-ს ნავთობსაცავამდე მისასვლელ გზაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა | 590000 | 29500 | მაისი | ოქტომბერი | 560500 |
| 14 | სოფ. შუა ბაშში მე-2 ეწრის მიმართულებით ასფალტ ბეტონის საფარის მოწტობა | 48000 | 2400 | მაისი | ოქტომბერი | 45600 |
| 15 | ქ. სამტრედიაში, პაპავასა და მაიაკოვსკის ქუჩების დამაკავშირებელ გზაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა | 32000 | 1600 | მაისი | ოქტომბერი | 30400 |
| 16 | გომის ადმინისტრაციულ ერთეულში დაბლა გომი-ცივწყალას გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა | 416000 | 20800 | მაისი | ოქტომბერი | 395200 |
| 17 | საჯავახოს ადმ. ერთეულში სოფ. ჭოგნარის ასახვევში (კახდელაკების ასახვევი) ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა | 57000 | 2850 | მაისი | ოქტომბერი | 54150 |
| 18 | საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. ,,საკირეს უბანში“ წყლის სისტემის სათვავე ნაგებობასთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა | 112000 | 5600 | მაისი | ოქტომბერი | 106400 |
| 19 | სოფ. ტოლებში ცენტრალური გზიდან მეურნეობის ბინების მიმართულებით გზაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა | 187155 | 9358 | მაისი | ოქტომბერი | 177797 |

**ტარიელ ცომაია** - პროექტი რომ არ ჩავარდეს მხარს ვუჭერთ ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებას, თუ სამომავლოდ გათვალისწინებულ იქნება მე-16 პუნქტში, რომ გომის ადმინისტრაციულ ერთეულში დაბლა გომი-ცივწყალას გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა მოხდება ქვემოდან ზემოთ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

**დაადგინეს:** კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (12) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

**სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/**

ტარიელ ცომაია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი